ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №06/36

ქ.თბილისი 02 აგვისტო 2013 წელი

ერთის მხრივ, სსიპ ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის ქალაქ თბილისის № 178 საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მ.შ. **ნანა ლაბაძის** სახით და მეორეს ფ/პ **თენგიზ კვიტაიშვილის** სახით (შემდგომში - მიმწოდებელი) შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ს" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას

მუხლი 1. ტერმინთა განმარტებები

1.1. ხელშეკრულება - წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითურთ.

1.2. შემსყიდველი – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.3. მიმწოდებელი – პირი, რომელიც ასრულებს შენობის მოწყობის სამუშაოებს ხელშეკრულების ფარგლებში.

1.4. ხელშეკრულების ღირებულება - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულებისათვის.

1.5. დღე, კვირა, თვე - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.6. ფორსმაჟორი - მოცემულ შემთხვევაში აუცდენელი დაუძლეველი ძალა, რომელიც დგება მხარეთა ნებისგან დამოუკიდებლად და ატარებს წინასწარ გაუთვალისწინებელ ხასიათს, კერძოდ, მიწისძვრა, წყალდიდობა, ხანძარი, ომი, რევოლუცია, აჯანყება, იმპორტისა და ექსპორტის აკრძალვა, აგრეთვე სხვა გარემოება, რომელიც შეუძლებელს ხდის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას ან იწვევს არათანაზომიერად დიდ ხარჯებს მათ შესასრულებლად.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. სარემონტო სამუშაოების შესრულება (cpv 45400000) კერძოდ: პირველი კორპუსის I სართულის საკლასო ოთახის და II კორპუსში ბიბლიოთეკის სარემონტო სამუშაოები იხ. დანართი №1

დანართი №1 წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 3. ხელშეკრულების საგნის ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

3.1. შესასრულებელი სამუშაოს საერთო ღირებულება შეადგენს 1891.39.00 (ერთიათას რვაასოთხმოცდათერთმეტი ლარი და 39 თეთრი) და მოიცავს სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

3.2. შესრულებული სამუშაო ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გამოწერის შემდეგ.

მუხლი 4. სამუშაოს შესრულების ადგილი და ვადა

5.1. სამუშაოს შესრულების ადგილია შემსყიდველის ადგილსამყოფელი - ქ. თბილისი, ვარკეთილი 3 2-ე მ/რ სსიპ ქალაქ ცოლოყაშვილის სახელობის ქალაქ თბილისის №178 საჯარო სკოლა.

5.2. სამუშაო უნდა შესრულდეს ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;

გ) ამ მუხლის 6.3 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში თავად მიიღოს ზომები წარმოქმნილი ხარვეზების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) სამუშაოების შესრულების პროცესში შეტყობინების მიღებისთანავე უზრუნველყოს უხარისხოდ შესრულებული სამუშაოს ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

გ) დაიცვას უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ნორმები.

5.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება.

მუხლი 6. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ ქალაქ ცოლოყაშვილის სახელობის ქალაქ თბილისის № 178 საჯარო სკოლის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი ნუგზარ ყულიშვილი.

6.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე შესრულებული სამუშაოს ხარისხის შემოწმებას.

6.4. ნებისმიერი ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 7. პირგასამტეხლო

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

7.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამ) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

7.3. ხელშეკრულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ დარჩენილი ნაწილის შესრულებამ მისთვის დაკარგა ინტერესი.

მუხლი 8. ფორსმაჟორი

8.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

8.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

8.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის.

9.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9.4. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 10. დავები, მათი გადაწყვეტის წესი და გამოსაყენებელი სამართალი

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 11. შეტყობინება

11.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.

11.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 12. სხვა პირობები

12.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და თითოეული ინახება მხარეებთან.

12.2. არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

მიმწოდებელი	შემსყიდველი
ფ.პ. თენგიზ კვიტაიშვილი	სსიპ ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის ქალაქ თბილისის # 178 საჯარო სკოლა
მისამართი : ქ. თბილისი მე 2 ნავთლუღის დასახლება № 2 სახლი 17	მისამართი: ვარკეთილი -3 2-ე მ/რ
ს.კ 01033007569	ს.კ 206031916
	სს საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი BAGAGE22	BAGAGE22
GE93BG0000000260251300	ა/ა GE11BG0000000119699000
ფ.პ. თენგიზ კვიტაიშვილი	სკოლის დირექტორის მ.შ
	/ნ .ლაბაძე/

დანართი № 1

სსიპ ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის ქალაქ თბილისის №178 საჯარო სკოლა
პირველი კორპუსის 1 სართულის საკლასო ოთახის და 2 კორპუსში ბიბლიოთეკის სარემონტო სამუშაოები
ხარჯთაღრიცხვა

სამუშაოს ჩამონათვალი	განზომილება	რაოდენობა	ხელფასი		მასალა		ჯამი
			ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	
2	3	4	4	7	8	9	
I დემონტაჟის სამუშაოები							
ან არსებული შეთეთრების მოხსნა	მ²	122,61	0,53	64,98		0,00	64,98
რის ბლოკის დემონტაჟი	მ²	5,91	1,80	10,64		0,00	10,64
დან ლინონიუმის დემონტაჟი	მ²	58,11	0,53	30,80		0,00	30,80
გადახურვის მოხსნა	მ²	5,50	0,85	4,68		0,00	4,68
ზოვანი ლითონის წყლის მიმღების დემონტაჟი	ცალი	1,00	7,80	7,80		0,00	7,80
მიმღების დონის დასაწევად 7 სმ-ზე,კედლის პანელის მონგრევა	კვ.მ	0,16	7,80	1,25		0,00	1,25
ჯამი							**120,15**
II სამშენებლო სამუშაოები							
ლოვანი ლითონის წყლის მიმღების მოტაჟი	ცალი	1,00	7,80	7,80	0,00	0,00	7,80
ი გადახურვის მოწყობა,ორი ფენა რუბეროიდით	კვ.მ	5,50	5,70	31,35			31,35
ის კარებების მოწყობა გაძლიერებული ჩარჩოთი	კვ.მ	2,14	10,65	22,79	142,00	303,88	326,67
ის მოჭიმვა სისქე 50მმ, ცემენტის ხსნარი მ-50	კვ.მ	58,11	5,50	319,61	3,13	181,89	501,50
შეფითხვნა და შელებვა წყალემულსიური საღებავით	კვ.მ	122,61	3,40	416,87	2,80	343,31	760,18
ების შეფითხვნა შელებვა მაღალხარისხიანი წყალემულსიური საღებავ	კვ.მ	190,37	3,30	628,22	2,90	552,08	1180,30
რის ხის რაფების შელებვა ზეთოვანი საღებავით	კვ.მ	3,57	4,20	14,99	2,20	7,86	22,85
ირებული იატაკის მოწყობა,პლინტუსებით	კვ.მ	58,11	3,30	191,76	14,70	854,22	1045,98
ჯამი							**3876,63**
III ელექტრობის სამუშაოები							
ლე ფარული არხის მოწყობა	გრძ.მ	55,00	0,95	52,25			52,25
ების გაყვანა არხში	გრძ.მ	72,00	0,50	36,00			36,00
ღი საშტეფსელე როზეტის მოტაჟი	ცალი	8,00	1,70	13,60			13,60
ავიშიანი ჩამრთველის მოტაჟი	ცალი	2,00	1,70	3,40			3,40
წილებელი კოლოფის მონტაჟი	ცალი	7,00	3,80	26,60			26,60
სანათის მონტაჟი	ცალი	3,00	2,00	6,00	28,00	84,00	90,00
ჯამი							**221,85**
სულ ჯამი							**4218,63**

№178 საჯარო სკოლის დირექტორის მ.შ. / ნ. ლაბაძე /
ალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი /ნ. ყულიშვილი/

 სსიპ ძაძუცა ჩოლოყაშვილის სახელობის ქალაქ თბილისის №178 საჯარო სკოლა
პირველი კორპუსის 1 სართულის საკლასო ოთახის და 2 კორპუსში ბიბლიოთეკის სარემონტო სამუშაოების
დეფექტური აქტი

№	სამუშაოს ჩამონათვალი	განზომილება	რაოდენობა
1	2	3	4
	I დემონტაჟის სამუშაოები		
1	ჭერიდან არსებული შეთეთრების მოხსნა	$მ^2$	122,61
2	ხის კარის ბლოკის დემონტაჟი	$მ^2$	5,91
3	იატაკიდან ლინონიუმის დემონტაჟი	$მ^2$	58,11
4	რბილი გადახურვის მოხსნა	$მ^2$	5,50
5	ფურცლოვანი ლითონის წყლის მიმღების დემონტაჟი	ცალი	1,00
6	წყლის მიმღების დონის დასაწევად 7 სმ-ზე,კედლის პანელის მონგრევა	კვ.მ	0,16
	II სამშენებლო სამუშაოები		
1	ფურცლოვანი ლითონის წყლის მიმღების მოტაჟი	ცალი	1,00
2	რბილი გადახურვის მოწყობა,ორი ფენა რუბეროიდით	კვ.მ	5,50
3	მდფ-ის კარებების მოწყობა გაძლიერებული ჩარჩოთი	კვ.მ	2,14
4	იატაკის მოჭიმვა სისქე 50მმ, ცემენტის ხსნარი მ-50	კვ.მ	58,11
5	ჭერის შეფითხვნა და შეღებვა წყალემულსიური საღებავით	კვ.მ	122,61
6	კედლების შეფითხვნა შეღებვა მაღალხარისხიანი წყალემულსიური საღებავ	კვ.მ	190,37
7	ფანჯრის ხის რაფების შეღებვა ზეთოვანი საღებავით	კვ.მ	3,57
8	ლამინირებული იატაკის მოწყობა,პლინტუსებით	კვ.მ	58,11
	III ელექტრობის სამუშაოები		
1	საკაბელე ფარული არხის მოწყობა	გრძ.მ	55,00
2	სადენების გაყვანა არხში	გრძ.მ	72,00
3	ფარული საშტეფსელე როზეტის მოტაჟი	ცალი	8,00
4	ორკლავიშიანი ჩამრთველის მოტაჟი	ცალი	2,00
5	გამანაწილებელი კოლოფის მონტაჟი	ცალი	7,00
6	ჭერის სანათის მონტაჟი	ცალი	3,00

	სსიპ №178 საჯარო სკოლის დირექტორის მ.შ.	ნ. ლაბაძე	
	მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი	ნ. ყულიშვილი	სკოლის
	პედაგოგიური საბჭოს თავჯდომარე	ლ. ჯანაშია	